ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

ნომერი: 12-032435243-03
თარიღი: 17.12.2024 17:10
ვადა: 16.01.2025

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა
საკონტაქტო ინფორმაცია: 2722222; (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 01-01243522404 განცხადების თარიღი: 17.12.2024
ხელმომწერი: კახა კალაძე თანამდებობა: მერი

განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
თავისუფალი განცხადება

მოთხოვნის ტექსტი

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
№ 12-032435243-03
17.12.2024 : 17:10
თბილისი, 0114, თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

წერილის ნომერი: **01-01243522404**
თარიღი: **17/12/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს.

დანართი: 4 (ოთხი) ფურცელი.

პატივისცემით,

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №
2024 წლის ___ ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-7 დადგენილების (www.Matsne.gov.ge), 16/01/2018; სარეგისტრაციო კოდი: 010260030.35.101.016472) პირველი მუხლით დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის დებულებაში“ და დებულების:

1. **პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

“1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახური (შემდგომში – სამსახური) არის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის (შემდგომში – თბილისი) მერიის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს მერიის სისტემაში (თბილისის მერიის აღმასრულებელი ორგანოების სისტემა და თანამდებობის პირები, თბილისის მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები, თბილისის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები, თბილისის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ დაფუძნებული იურიდიული პირები), აგრეთვე, თბილისის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებულ სამეწარმეო იურიდიულ პირებში და მათ მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში შიდა აუდიტისა და ინსპექტირების განხორციელებას და მათი თანამშრომლების საქმიანობის ინსპექტირებას. აგრეთვე, თბილისის მერიის (თბილისის მერიის აღმასრულებელი ორგანოების სისტემა და თანამდებობის პირები), ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფასა და მოსამსახურეთა/თანამშრომელთა შრომის უსაფრთხოების ორგანიზებასა და მართვას.“

2. **მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ზ) თბილისის მერიის სისტემაში, თბილისის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებულ სამეწარმეო იურიდიულ პირებში და მათ მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში სისტემური აუდიტის, შესაბამისობის აუდიტის, ეფექტიანობის აუდიტის, ფინანსური აუდიტისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის განხორციელება;“

3. **მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ა) თბილისის მერიის სისტემაში, თბილისის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებულ სამეწარმეო იურიდიულ პირებში და მათ მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში განახორციელოს შიდა აუდიტორული შემოწმება შემდეგი სახეების გამოყენებით: სისტემური აუდიტი, შესაბამისობის აუდიტი, ეფექტიანობის აუდიტი, ფინანსური აუდიტი და ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტი;“

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე *გიორგი ტყემალაძე*

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების
განმარტებითი ბარათი

ა.ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი:

წარმოდგენილი პროექტის თანახმად, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის დებულებაში“ შედის ცვლილება, რომლის საფუძველზეც მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურს ეძლევა უფლებამოსილება, თბილისის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებულ სამეწარმეო იურიდიული პირებში და მათ მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში განახორციელოს შიდა აუდიტორული შემოწმება. მოქმედი დებულებით კი სამსახური უფლებამოსილია თბილისის სამეწარმეო იურიდიულ პირებში ჩაატაროს მხოლოდ ინსპექტირება და არა შიდა აუდიტორული შემოწმება. შესაბამისად, აღნიშნული ცვლილების საფუძველზე, შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახური თბილისის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებულ სამეწარმეო იურიდიული პირებში და მათ მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში ჩაატარებს როგორც ინსპექტირებას, ისე შიდა აუდიტორულ შემოწმებას.

დებულებით გათვალისწინებული სხვა უფლება-მოვალეობები რჩება უცვლელი.

ა.ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზანი:

პროექტის მიღების მიზანია, შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურს მიეცეს უფლებამოსილება, განახორციელოს თბილისის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებულ სამეწარმეო იურიდიული პირებში და მათ მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში შიდა აუდიტორული შემოწმება.

ა.გ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) ძირითადი არსი:

ვინაიდან, შიდა აუდიტი არის დაწესებულების საქმიანობის გაუმჯობესებისკენ, მისი მიზნების მიღწევის უზრუნველყოფისა და მისი ამოცანების სრულყოფილად შესრულებისკენ მიმართული დამოუკიდებელი, ობიექტური, მარწმუნებელი და საკონსულტაციო საქმიანობა, რომელიც სისტემატიზებული, დისციპლინებული და ორგანიზებული მიდგომით აფასებს და აუმჯობესებს რისკის მართვის, კონტროლისა და მმართველობითი პროცესის ეფექტიანობას, ამდენად, სამეწარმეო სუბიექტებში შიდა აუდიტის ჩატარება ხელს შეუწყობს აღნიშნული ორგანიზაციების საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

ბ) პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

გ) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

ინიციატორის მოსაზრებით დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

დ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ვ) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.